



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### დერელი

დერელი (d'Herelle) ფელიქს (25. IV. 1873, მონრეალი, - 22. II. 1949, პარიზი), კანადელი ბაქტერიოლოგი.

მუშაობდა გვატემალის, მექსიკის, საფრანგეთისა და ნიდერლანდის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში. 1917 შეისწავლა და დანვრილებით აღწერა ნ. გამალეას მიერ 1898 აღმოჩენილი მოვლენა, რ-საც ბაქტერიოფაგია უწოდა. 1923-27 ბაქტერიოლოგიურ ლაბორ. დირექტორი იყო ალექსანდრიაში (ეგვიპტე), 1928-იდან კი - იელის უნ-ტში ნიუ-ჰეივენში (აშშ).

დ. ორჯერ (1933-34, 1934-35) იყო საქართველოში. მუშაობდა თბილ. ბაქტერიოლოგიურ ინ-ტში. გ. ელიავასთან ერთად შეიმუშავა სპეციალიზებული ბაქტერიოფაგიის ინ-ტის შექმნის პროგრამა.

დ-ის წინადადებით, ბაქტერიოფაგს იყენებენ ზოგიერთი ინფექციური დაავადების სამკურნალოდ.

*თბ.*: Le bactériophage et son comportement, 2 éd., P., 1926; Бактериофаг и его значение для иммунитета, М. - Л., 1926; Бактериофаг и феномен выздоровления, Тфл., 1935.

---